

## პორტრეტის ხატვის სწავლების საკითხისათვის მარიამ ტყეშელაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრა

### ანოტაცია:

სტატიაში განხილულია პორტრეტის შესაძლებლობები, ფაიუმის პორტრეტები, მხატვრის ძირითადი ამოცანები პორტრეტის ხატვისას, რეკომენდაციები პრაქტიკული დავალებების შერჩევაში, სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის დღევანდელი მდგომარეობა.

### საკვანძო სიტყვები:

პორტრეტი, ფერწერა, მოდელი, ნატურა, ხასიათი, ფერწერის ტექნიკა, ფორმა, ეთოდიკა.

- თემის არჩევა განაპირობა პორტრეტის მრავალფეროვნებამ, სირთულემ და შესაძლებლობებმა. ინტერესი პორტრეტის ხატვისადმი მამლევდა საშვალებას შემესწავლა და გამომეხატა ადამიანის ხასიათი, ფსიქოლოგია. თუმცა თავად ჟანრის სახელი გამომდინარეობს ძველი ფრანგული გამონათქვამიდან "რადაცის გამოსახვა ზედმიწევნით ზუსტად", პორტრეტის მხატვრული ღირებულება გარეგნული მსგავსებით არ გამოისახება. გარდნულ მსგავსებაზე მნიშვნელოვანია ჩემი აზრით პიროვნების ფსიქოლოგიური "პორტრეტი". მხატვრის უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს პიროვნების სულიერი სამყაროს ასახვა.
- მსოფლიო ხელოვნებაში უამრავი ნიმუშია შესანიშნავი პორტრეტებისა. ყურადღება მიიქცევა მინდა შევჩერო ჩემი აზრით ყველაზე საინტერესოზე ფაიუმის რიტუალურ-მაგიური დანიშნულების ფერწერულ პორტრეტებზე, რომლებიც იქმნებოდა ეგვიპტეში I ს.ჩ.წ.მდე IV ს.ჩ.წ-ით. მოგვიანებით მათ დაერქვათ ფაიუმის პორტრეტები. ისინი აღმოაჩინეს ელ-ფაიუმის ოაზისის ნეკროპოლში, რომის აღმოსავლეთ პროვინციაში. ეს პორტრეტები შეიქმნა ელინურ-რომაული ხელოვნების გალენის ქვეშ, მაგრამ ისინი ატარებენ მაგიურ-რიტუალურ დანიშნულებას, რითაც აგრძელებენ ტრადიციულ ძველ ეგვიპტურ პორტრეტულ ხელოვნებას. ისინი შესრულებულია ხის (კედარი, კიპარისი და ცაცხვი), თიხის ან თაბაშირისგან დამზადებულ ფირფიტებზე და ადამიანის სიკვდილის შემდეგ სხეულთან ერთად იმარხებოდა. ხანდახან მრგვალ ან ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული იდგმებოდა ატრიუმში.
- ფაიუმის პორტრეტები სრულიად ახალი ჟანრია ფერწერული პორტრეტის ხელოვნებაში. მოდელი გამოსახულია ბუნებრივ მოძრაობაში, არ არის ფრონტალური კომპოზიცია, ფონი ნეიტრალურია, სიბრტყობრივი დეკორატიული ლაქები შეცვლილია ფორმის ფერწერული ძერწვით. სწორედ ფაიუმის პორტრეტებიდან გავრცელდა ენკაუსტიკის (მიწის საღებავები შერეული ფისთან) და ცვილის ტემპერის ტექნიკა. ეს ბოლო ამბაფრებს ფორმის პლასტიური გამომსახველობას, სუფთა ფერთა ჟღერადობას. ასევე იყენებდნენ სუფთა ტემპერას ან ყოველივეს ერთად. ზოგჯერ საღებავებს ურევდნენ გველის კვერცხებს, რაც ნარევის არბილებდა და ადვილად დასამუშავებელს ხდიდა. სამაგიეროდ ნაკლებად მდგრადი იყო. ბევრი პორტრეტი ამის გამო ძლიერ არის დაზიანებული. ასეთი შერეული ტექნიკა იძლეოდა სხვადასხვა ეფექტებს.
- ფაიუმის პორტრეტებში ყურადღება გამახვილებულია მოდელის ინდივიდუალური მახასიათებლების მკვეთრ გამოხატვაზე და შექმნილია საოცარი მხატვრული სახეები. "ჩვენს წინაშეა ცოცხალი საზოგადოება და არაჩვეულებრივი პორტრეტების გამოფენა. ჩვენ მნახველები კი არ ვათვალიერებთ მოურიდებლად უცხო სახეებს, არამედ ისინი

გვაკვირდებიან და გვაფასებენ ჩვენ - ასეთია შთაბეჭდილება, რომელიც მნახველს რჩება" - წერს ჟურნალ "Art"-ში ევა დემსკი.

- ამ პორტრეტებში ვხვდებით განსხვავებული ხასიათების და ტემპერამენტის, სიცოცხლის ჟინით მოცულებს, სევდიანებს, უნებისყოფობებს, ენერგიულებს და მკაცრ ადამიანებს, პიროვნებებს. ეს ყოველივე იმდენად მძაფრად არის გადმოცემული, რომ ჩვენს წინაშე თითქოს ცოცხალი ადამიანების საზოგადოებაა. ჩემი აზრით ამ შთაბეჭდილებას თვალები ქმნიან. თვალები, რომელიც გონებას უბნევს მნახველს. დიდი და მუქი მამაკაცების, ქალების, ბავშვების თვალები. ძალიან მშვიდი მზერა ყოველთვის არ არის დამთვარიელებლისკენ მიმართული.

აღსანიშნავია " გოგონას პორტრეტი" II ს.ჩ.წ. სწორედ ამ პორტრეტმა მოახდინა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება. აქ ფერები ბრწყინავს, ციალებს. აქცენტი გადატანილია სახეზე. მხრების და ყელის ფორმები არ არის ზედმიწევნით დამუშავებული. თვალების, ცხვირის და მომღიმარი ტუჩების ფორმის მიმართულებით დადებული მონასმები ამძაფრებს, ფორმის შეგრძნებას. შევხედავთ თუ არა პორტრეტს მზერა თვალებისკენ გაგვირბის. თვალებისკენ, რომლებიც იმდენად ღრმია, სევდიანი და ბუნებრივი, რომ მგონია ცოცხალ არსებას ვუყურებ. ძალიან საინტერესოა "წვერებიანი მამაკაცის პორტრეტი" II ს. ჩ.წ.-ით. მხატვარმა გადმოსცა მჟღერი ფერების ჰარმონია. თეთრი და ცისფერი ტანსაცმელში, მუქი ოქროსფერი სახეზე, ცისფერი რეფლექსები ვარდისფერ ღაწვებზე. მთლიანი პორტრეტი ერთნაირი სიძლიერით არის დამუშავებული. მზერა აქაც თვალებისკენ გაგვირბის. თვალები თითქოს გაოცებულია და ინტერესით გვაკვირდება.

ფაიუმის პორტრეტებში ნათლად ჩანს პიროვნების ხასიათი, ფსიქოტიპი. შწორედ ამიტომ მაყურებელი გრძნობს იმ ძალას, ენერგიას, რომელსაც თითოეული პორტრეტი ასხივებს.

პორტრეტის ხატვისას ვხვდებით აბსოლუტურად განსხვავებულ, ბევრად უფრო რთულ ფორმებს, ფერთა შეთანხმებებს, ვიდრე ვთქვად ნატურმორტის ან პეიზაჟის ხატვისას. ადამიანის სახის ფერი პრინციპულად განსხვავდება გარემომცველი სამყაროს სხვა ყველა ობიექტის ფერისაგან. არ არსებობს ორი ადამიანი, რომელსაც ერთი და იგივე სახის ფერი ჰქონდეს. რა თქმა უნდა ორი ერთნაირი ადამიანიც არ არსებობს. აქედან გამომდინარე, რამდენი საინტერესო პორტრეტის დახატვა შეიძლება. სურვილი ამისა მე მგონი არასდროს ამოიწურება. თითოეულ პორტრეტს ხასიათის მიხედვით სჭირდება თავისი ფერთა გამა, წერის ტექნიკა, კომპოზიციური გადაწყვეტა.

რაც შეეხება პორტრეტის ხატვის მეთოდიკას: ამა თუ იმ პიროვნების ხატვისას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცევა ხასიათის გადმოცემას. შეიძლება დავხატოთ ნატურის აბსოლუტურად მსგავსი პორტრეტი, მაგრამ ეს პორტრეტი იყოს უსულო, თუ ვერ შევძელით ხასიათის გადმოცემა. რა აზრი აქვს მაშინ ხატვას, ფერწერას, თუკი ამ საქმეს ფოტოგრაფიაც კარგად გაართმევს თავს.

- ჩემი აზრით მხატვრის ნებისმიერი ნახატი მისი სულიერი სამყაროა. უფრო ზუსტად კი გარემომცველი სამყარო ასახული მის სულიერ სამყაროში, გარდაქმნილი მის სულში. პორტრეტის ხატვისას კი მხატვარს უნდა ჰქონდეს უნარი გამოიცნოს, დაინახოს გარეგნობის მიღმა პიროვნების ფსიქოლოგიური სახე, ხასიათი. გაანალიზოს და შეეცადოს თავისი შეხედულება გადმოიტანოს ტილოზე, შექმნას მხატვრული სახე. ადვილია გროტესკული ტიპაჟების ხასიათის გადმოცემა, თუ გავამძაფრებთ, მაგალითად კეხიანი ცხვირის, წარბების, ვარცხნილობის ხაზს, თუმცა ამ შემთხვევაშიც შეიძლება ხასიათი ზედაპირული გამოვიდეს. უფრო რთულია და ჩემთვის საინტერესო ისეთი ტიპაჟების ხატვა, რომლებშიც ეს ყოველივე არ დომინირებს. ყველაზე მეტად

ადამიანის ხასიათს ჩემი აზრით თვალით გამოხატავს. ხატვისას შეიძლება გავამთლიანოდ, უგულველყოდ ყველაფერი, გარდა თვალებისა. ადამიანის ინდივიდუალური განუმეორებელი ნაკვთების გამოსახვის მიზნით ხანდახან საჭიროა უგულველყოთ მეორე ხარისხოვანი და ამით ხაზი გაუსვათ პირველს. როდესაც ვამძაფრებთ და ვაძლიერებთ ნატურის ცალკეულ ნაკვთებს უფრო უკეთესად წარმოჩინდება მისი ხასიათი და რაც მთავარია იქმნება მხატვრული სახე. ხასიათი შეიძლება უბრალოდ ფიგურის მოძრაობით გამოიხატოს, ანდა პორტრეტს შეუქმნათ ფერთა ისეთი გარემო, რომელიც წინ წამოსწევდა და ხაზს გაუსვამდა მოდელის ხასიათს. მაგრამ, სანამ ხასიათის გამოკვეთას შევძლებთ, უნდა კარგად ვერკვეოდეთ პროპორციებში, კომპოზიციურ აგებაში და შეგვეძლოს კარგად ხატვა. დასაწყისში უნდა მოიძებნოს კომპოზიციურად ტილოზე მოდელის მოძრაობის ხასიათი, შემდეგ-სახის პროპორციები მოდელის ხასიათის მიხედვით. როდესაც ეს ყოველივე კარგად არის გაკეთებული და მოძებნილი, შემდეგ გაცილებით ადვილია და საინტერესო ფერწერული მოთხოვნების შესრულება. როგორც სურათის კომპოზიციური აგებისას, ასევე ფერწერული პრობლემების გადაწყვეტისას საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ მთლიანობაზე. მუდმივად უნდა ვადაროთ დეტალები ერთმანეთს და მთელს. ისინი ჰარმონიული უნდა იყვნენ ერთმანეთის მიმართ. ასევე ფერი, განათება, ტონალურობა.

- საინტერესოა და ბევრის მომცემი პორტრეტის მონოქრომული (გრიზაილი) შესრულება. სწავლის დასაწყისში ეს საუკეთესო საშუალებაა, იმისთვის, რომ სტუდენტმა გაარკვიოს ფორმა და მოცულობა შუქ-ჩრდილის საშუალებით. ასევე ბევრის მომცემია პორტრეტის ფერწერული ჩქარი ეტიუდები, ჩანახატები. აქ ყურადღება უნდა მიექცეს მთლიანობას და ნატურის ფერწერულ გადაწყვეტას, უნდა გადმოიცეს საერთო ხასიათი და პროპორციები, საერთო ტონალური მდგომარეობა. ასეთ მოკლე ეტიუდებს საკმაოდ ხშირად მივმართავ, შესვენებების სახით, პორტრეტზე მუშაობისას. ძალიან ხშირად შეიძლება მოკლე ეტიუდში უფრო მეტად გამოჩნდეს მოდელის მხატვრული სახე, ვიდრე დასრულებულ სურათში. ამგვარი ეტიუდები ჩემი აზრით ხელს უწყობს ხელის და თვალის განვითარებას ნატურის ფერწერულ აღქმაში. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე დიდი სარგებლობა მოაქვს წარსულის ოსტატების ნახატების შესწავლას და თავისუფალ კოპირებას. ამ დროს ვითარდება, იხვეწება ოსტატობა, ხელი, თვალი, ყალიბდება გემოვნება. კოპირება ამდიდრებს სტუდენტის ცოდნას ფერწერის ტექნიკური საშუალებების, მასალების, წვირს ტექნიკის თვალსაზრისით. ვითარდება მხატვრული გემოვნება და შეხედულებათა სისტემა. შამხატვრო აკადემიაში ფერწერის კათედრაზე პროგრამით გათვალისწინებულია კოპირების პრაქტიკა, რომელიც ტარდება ხელოვნების მუზეუმში. თუმცა მუზეუმში დაცული ხელოვნების ნიმუშები ფართო არჩევანის საშუალებას არ იძლევა.

- ფერწერის კათედრაზე, მოქმედი პროგრამის მიხედვით პორტრეტს ეთმობა საათების შემდეგი რაოდენობა:

I კურსი ----- ძირითადი მოცემულობა ადამიანის თავის ეტიუდი \_ 9 მოცემულობა.

თითოეული 35 საათის რაოდენობით. ერთი მოცემულობა 60 საათი \_ პორტრეტი ხელებით.

II კურსი ---- 2 მოცემულობა პორტრეტი ---- 40 – 50 საათის მოცულობით.

2 მოცემულობა პორტრეტი ხელებით ----- 50 საათის მოცულობით.

III კურსი ---- პორტრეტი 4 მოცულობა. თითოეული 50 საათის მოცულობით.

( ამაში შედის რამდენიმე ხანმოკლე ეტიუდის შესრულება.)

ჩვენთვის ნაცნობი გიგი პრობლემების (ძირითადად აკადემიის მატერიალური პრობლემები) გამო ვერ ხდება სახელოსნოების საინტერესო ნატურებით

დაკმაყოფილება. ხშირად თავად სტუდენტები პოზირებენ. პრინციპში სასწავლო პროცესის უმეტესი ნაწილი პორტრეტს ეთმობა, რადგან სახელოსნოთა უმრავლესობას არ ჰყავს შიშველი ფიგურა.

- სემესტრის ბოლოს სახელოსნოებში ეწყობა გამოფენა და სემესტრული დავალების შეფასება ხდება. აქ გამოფენილ ნახატებს შორის დომინირებს სწორედ პორტრეტი. კათედრის ყველა წევრისგან შემდგარი კომისია ახდენს შეფასებას. ნამუშევარი ფასდება 5 ბალიანი სისტემით. სახელოსნოს ხელმძღვანელები ახასიათებენ თავიანთ სტუდენტებს და მათ ნამუშევრებს. კომისიის წევრები გამოთქვამენ თავიანთ აზრს და საბოლოო შეფასების უფლებას თავად სახელოსნოს ხელმძღვანელს უტოვებენ. შეფასებისას ითვალისწინებენ ზოგჯერ სტუდენტის დასწრებას, ზოგჯერ ნამუშევრების ხარისხს, ზოგჯერ კი მხოლოდ რაოდენობას.

- ჩვენთვის ყველასთვის ცნობილია თუ როგორი სავალალო მდგომარეობაა სახელოსნოებში. როგორც სტუდენტებს ასევე პედაგოგებს მუშაობისთვის უკეთესი პირობები ესაჭიროება. მე მაინც ვთვლი, რომ დღეს აკადემიაში მინიმალური საშუალებებით მაინც მაქსიმუმი კეთდება. მაგრამ რამდენად დამაკმაყოფილებელია ეს მაქსიმუმი?

სასწავლო პროცესი ჩემი აზრით საჭიროებს თანდათანობით ცვლილებების შეტანას. როგორც სტუდენტების ასევე პედაგოგების მოვალეობები, ამოცანები მკაფიოდ უნდა იყოს დასმული. როგორ უნდა მოვთხოვოთ სტუდენტს ამა თუ იმ ამოცანის შესრულება, თუ ამ ამოცანას მკაფიოდ არ დაუსახავთ და არ აუხსნიან. შეფასება უნდა ხდებოდეს მოცემული ამოცანის გადაწყვეტის მიხედვით. ცოტა ძნელია შეაფასო ნახატი შემოქმედების თვალსაზრისით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელოსნოებში მხოლოდ ოსტატობას-ხელოსნობას ვასწავლიდეთ. ამავე დროს პედაგოგი ხელს უნდა უწყობდეს თითოეულ სტუდენტის ინდივიდუალურ განვითარებას და არა თავისი შეხედულებების, გემოვნების, თვალსაზრისის ძალით თავზე მოხვევას. ლექტორი უნდა ცდილობდეს თითოეულ სტუდენტში გააღრმავოს ის მიღწევები, ხედვა, რაც თავად სტუდენტს გააჩნია. სტუდენტისთვის მკაფიოდ უნდა იყოს ცნობილი შეფასების კრიტერიუმები, რომლითაც მოხდება მისი ნამუშევრების შეფასება. ჩემი აზრით სტუდენტისთვის საინტერესო იქნება, თუ დაესწრება მისი ნამუშევრების განხილვას შემფასებელ კომისიასთან ერთად. რაც უფრო მეტი მხატვრის რჩევას მოისმენს სტუდენტი, მით უფრო ნაყოფიერად იმუშავებს. გვარდა ამისა, სტუდენტს ასევე უნდა ჰქონდეს დამატებითი საგნებისა და პედაგოგების არჩევის უფლება. საინტერესო და ბევრის მომცემი იქნება მჭიდრო კავშირი, ერთობლივი მუშაობა სხვადასხვა ფაკულტეტების პედაგოგებთან, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებთან.

სამხატვრო აკადემიის დღევანდელი მდგომარეობა შეიძლება ითქვას სავალალოა. თუკი რამე კეთდება, ეს პედაგოგების და სტუდენტების მცირე ჯგუფის დამსახურებაა, რომლებიც უანგაროდ და ენთუზიაზმით მუშაობენ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ფაიუმის პორტრეტი. საზღვარგარეთის ხელოვნების ისტორია. მ. ტ. კუზმინას და ი.ა. მალცევის რედაქციით. გამოცემა მესამე, შევსებული. მოსკოვი: სახვითი ხელოვნება, 1983 წ. (რუსული)
2. ევა დემსკი. რაც შენ ხარ, ის მე ვიყავი. რაც მე ვარ ის შენ იქნები. ჟურნალი "Art" #2 თებერვალი 1999წ. (გერმანული)
3. ა. პ. იაშუხინი. ადამიანის თავის ფერწერა. ნაწილი 3. ფერწერული გამოსახულების მეთოდოლოგია. ფერწერა. მოსკოვი: განათლება, 1985 წ. (რუსული)

---

მიღებულია: 17.10.2002